„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდოფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—24)

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

**ილია ჭავჭავაძის**

**თხზულებათა**

მეორე ტომი

გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ამ ტომში მოთავსებულია:
1) მგზავრის წერილები (სრული),
2) გლახის ნაამბობი,
3) კაცია ადამიანი?!

ფასი 1 მ.

კარგ ქაღალდზედ ყდით ეღირება 2 მ. 50 კ.

13 ივნისს, შაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში შესავალ-გასავლისა.

2) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

3) გამგეობის წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—5)

აპეკუნი თავადი ზაალ თადეოზის ძის გურამოვისა გენერალ-მაიორი თავ. დიმიტრი ვეზიროვი ამით აცხადებს, რომ თიბათვის გასულს ამ წელს იჯარის ვადა თავდება ზაალ გურამოვის მამულებისა საგურამოში და ავჭალაში და, ვისაც ჰსურს აღება ამ ზემოხსენებულ მამულებისა, მიჰმართოს აპეკუნს ან სიტყვიერ, ან ქაღალდით სოფ. ოსიაურში, მიხაილოვის სტანციის ახლო. (4—4)

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად.

თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-II ტომიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. (5—5)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 12 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო ვაჭრობით გასყიდვა ქალაქის იმ მამულებისა, რომლის პატრონებმაც არ შეიტანეს ხვედრი გადასახადი. გაიყიდა სულ 5 მამული: სურგუნოვისა ალ. სტეფანეს ძისა 2305 მანეთად, ბახუტოვისა ალ. და კონსტ. სვიმონისა ძეთა 3320 მან., ოსეფოვისა იოსებ აზიზის ძისა 5050 მან., ლორთქიფანიძისა ივანე ოტიას ძისა 5500 მან., ნაზაროვებისა და ბარათაშვილისა 5190 მან. და ქერბალაი-ახპერ-ჰაჯი-ყასუმ-ოღლისა 4288 მან.

დარჩა გასასყიდად მეორე ვაჭრობამდე 5 მამული კიდევ: მელიქ-ალამალოვისა, მელიქ ალამალოვისავე, ნაზაროვისა ალექსანდრე ივანეს ძისა, აკოფჯანოვისა კარაპეტ სარქისის ძისა და სერგეი ივანეს ძის ჯორჯაძისა.

*** მოგვყავს სია სასულიერო სემინარიაში წელს კურს-დამთავრებულთა: აბესაძე ი., ანდღულაძე ს., ალბუტაშვილი მ., ბაკურაძე ი., ბილალანიშვილი ვ., ბარნაბიშვილი ნ., ვირსალაძე ბ., გამრეკელი გ., გვაზავა მ., გველესიანი ი., გიორგიძე კ., გორგაძე ი., გოგნიაშვილი ი., გაბისონია ვ., დავითაშვილი ა., დავითაშვილი დ., დევიძე ს., დეკანოსიძე ფ., ჯაში ი., ჯიოშვილი ქ., ივანიცკი ტ., ყასაბიშვილი ვ., კახიშვილი ნ., კაციაშვილი გ., ყაზახიშვილი ს., კონტრიძე ვ., კროტკოვი ო., ლეჟავა ნ., ლორია ლ., ლაზარევი გ., მგელაძე ვ., მამინაიშვილი ევ., მიქაძე ი., მენთეშაშვილი ეგ., ომანიძე ივ., ფოფხაძე ამ., პალლადინი ს., სეხნიაშვილი ს., სვანიძე ს., ტარიელაშვილი ა., ფუთბერიძე გ., თებზაძე ი., ხუცაიძე ნ., ხუსკივაძე კ., ხელაშვილი ვ., წერეთელი ს., წერეთელი კ., ცარიკოვსკი ი., ჩიქოვანი ს., ჩხაიძე დ., ჩხიკვაძე ვ., ჩიხლაძე ს., სულ 52 შეგირდი. ამათში სამი პირველი შეგირდი—მამინაიშვილი ევ. (გურული), ყასაბიშვილი ვ. და ჯიოშვილი ქ. (ოსები) სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნენ რუსეთის სხვა-და-სხვა სასულიერო აკადემიებში.

*** ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან ჩვენ მივიღეთ შვიდი სხვა-და-სხვა სახალხო წიგნი, რომელიც ეხლა დაუბეჭდია:

| | | |
|---|---|---|
| არსენას ლექსი | 2400 | წიგნი |
| მაჰმადის ცხოვრება | 2400 | წიგნი |
| ალექსიანი | 2400 | წიგნი |
| ლოცვები | 2400 | წიგნი |
| ქალ-ვაჟიანი | 2400 | წიგნი |
| თამარ-მეფე | 2400 | წიგნი |
| დავით-აღმაშენელი | 2400 | წიგნი |
| სახალხო ლექსები | 1000 | წიგნი |

ყველა ამ წიგნს თავსა და ბოლოში ქართული ანბანები აქვს ჩართული და დანიშნულია გასავრცელებლად იქ, საცა წერა-კითხვა ნაკლებად იციან ჩვენში. ბ-ნს ჭიჭინაძეს ასევე მოუმზადებია დასაბეჭდად: ყურანის რამდენიმე თავი, შემოკლებული ისტორია სამცხისა, სახალხო ლექსები და სახალხო კარაბადინი. ეს წიგნებიც, როგორც გვატყობინებენ, მალე დაიბეჭდება.

*** 11 ივნისს რკინის გზის მატარებელზედ № 4, რომელიც ბაქოდგან მოდიოდა, ხოლერით ავადმყოფი ნახეს და ევლახის სადგურზედ დასტოვეს.

*** ბათუმის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, ყოველ გვარი საშუალება იხმაროს ქალაქის გასუფთავებისთვის და დაარსოს 8 სასანიტარო დასი და ამისთვის გადასდო 2,000 მანათი. კიდევ 10,000 მანათიც გადადებულია, თუ ვინიცობა ბათუმში ხოლერა გაჩნდა.

*** ბაქოდამ წამომსვლელი იმდენია თურმე, რომ რკინის გზის მთავრობას ბრძანება გაუცია, ერთის მაგიერ, ორმა მატარებელმა იაროს ტფილისსა და ბაქოს შორისო. ბაქოდამ წამოსულთ ოთხგან აჩერებენ და სინჯავენ: ბალაჯარში, აჯიქაბულში, განჯასა და ალსტაფაში. უმეტესი ნაწილი მგზავრთა სომხეთისკენ თურმე მიდის, სამშობლო ქვეყანაში, მთა-გორიან ადგილას, შუშა-ერევნისაკენ.

*** მცხეთა: 10 ივნისს, საღამოს ექვს საათზედ, სოფელ წინამძღვარიანთ-კარსა და სხვა ახლო-მახლო სოფლებში საშინელი ავდარი იყო: სეტყვა და ქარიშხალი. სეტყვამ სულ მირეგ-მორეგვა ყველაფერი. რაც სეტყვამ დააკლო წინამძღვარიანთ-კარის ფერმას, ის ქარმა შეუსრულა.

## ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციელისა

მაისი

მაისი, რომლისათვისაც ჩვენ ძველებს სამართლიანად ვარდობის-თთვე დაურქმევიათ, ახლებსაც მტკიცე საბუთსა და შეურყეველს საფუძველს გვაძლევს, რომ ბევრის სხვა სახელწოდებითა და ეპიტეტით მოვრთოთ და შევამკოთ ეს უიმისოდაც მორთული და შემკული თთვე. მართლაც, რამდენი სახელი გინდათ მაისს, ვარდობისთთვეს გარდა, ვუწოდოთ! პირველ ყოვლისა, თუ თქვენც დამეთანხმებით, ბანკობისთთვე დავარქვათ, რადგანაც ჩვენ ბანკთა ცოდვა-მადლი ამ თთვეში განისჯ-განიკითხება და გასამართლდება. ლატარია-ალეგრობის თთვეც რომ ვუწოდოთ, ვგონებ, შემცდარი არ ვიქნებით, რადგანაც ყოველ გვარი ლატარია-ალეგრი უსათუოდ ამ თთვეში გაგვაჩხრეკინებს თაგვების საასპარეზოდ დარჩენილს ჯიბეს. პიკნიკ-სადილობის თთვეს დავუძახებთ-და, ამის საფუძველიც ხომ ხელთ გვექნება, რადგანაც ყოველ გვარ სადილს, ოფიციალურსა და არაოფიციალურს, კერძოსა და საზოგადოს, ამ თთვეში გამოატყვრენენ და, სულს ქვეშ რომ აღვიაროთ, სხვა თთვეში შნო და ლაზათიც არა აქვს. ტრფობა-არშიყობის თთვედ ვიგულისხმებთ ამ თთვეს—და, ეგ ხომ სრული გულის-ხმიერობა იქნება, ვინაიდგან ამ თთვეში, ახალგაზდას-კი არა, სამარის კარზედ მიმდგარ მოხუცსაც ტრფობის სურვილი გამსჭვალავს და არშიყობის ეშხი დაათრობს. „რეჩობა-ლექსობის“ თთვის სახელითაც რომ მოვნათლოთ, ურიგობას ვერავინ შეგვწამებს, რამეთუ ვერც ერთი, პიკნიკი იქნება თუ სადილი, „ურეჩოდ“ ვერ ჩაივლის, ხოლო რაც შეეხება ლექსს, ეს ხომ ტრფობა-არშიყობის ხელ-შეუხებელი კუთვნილებაა.

ამ ნაირად მაისი საგაზეთო წერილისთვის დიდსა და მდიდარს მასალას იძლევა, მაგრამ ხათა ისაა, რომ დიდის მასალის გამოყენებას დიდი უნარიანი კალმოსანი უნდა. თქვენი უმორჩილესი მონა-მოსამსახურე-კი არა თუ უნარიან კალმოსანთა რიცხვში არავის ჩაურიცხავს, არამედ უბრალო მჯღაბნელთა გუნდშიაც არავის უხსენებია. მაშასადამე, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ბანკის გამო ვერაფერი ვთქვა, რადგანაც ბანკი და იმისი მნიშვნელობა იმდენად რთული საგანია, რომ ჩემისთანების მარტივი ჭკუა-გონება საფანელადაც არ ეყოფა. ლატარია-ალეგრის გამო რომ ვილაპარაკო, ეს ხომ ტყუილ-უბრალო ყბედობა იქნება, რადგანაც ლატარია-ალეგრი ყოველთვის და ყველგან საქველ-მოქმედო აზრით იმართება, ხოლო ეს აზრი რომ საბოროტ-მოქმედო აზრისაგან დადად განსხვავდება, ამას რა დიდი ლარი და ხაზი, რა დიდი დამტკიცება და განმარტება ეჭირვება. ამ ნაირად ჩემდა საბედნიეროდ დამრჩა მხოლოდ პიკნიკ-სადილების, ტრფობა-არშიყობის და და „რეჩ“-ლექსების ამბავი, რომელთა გამო, თუ ნებას დამრთავთ, ცალკ-ცალკე ვილაპარაკებ.

აბა ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ!

არ ვიცი სხვაგან როგორ არის, ხოლო ჩვენში სადილის გამართვა მოდაში შემოვიდა და მოსალოდნელია ჩქარა ჩვეულებად გადაიქცეს. მართალია, პურ-მარილი და სტუმართ-მოყვარეობა გურულებისა ყოველთვის ნაქები იყო, მაგრამ ძველებური პურმარილი სულ სხვა იყო და ახლანდელი სადილები სულ სხვაა. ძველად გურულს კაცს სტუმრის გამასპინძლება და პურ-მარილის გამართვა ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნდა, რის გამოც მაშინდელი პურ-მარილი გულწრფელი, უმანკო და უსარჩულო იყო. ეს იმიტომ, რომ მაშინ გურულმა პოლიტიკა არ იცოდა და დიპლომატიისა არა გაეგებოდა-რა. ახლა სხვა არის. ახლა რამდენადაც პოლიტიკა გამეფდა და დიპლომატია გაბატონდა, იმდენად პურ-მარილმაც ფერი და იერი შეიცვალა და პოლიტიკისა და დიპლომატიის ჭახრაკში გაება. სამწუხაროა თუ სასიხარულო ასეთი ცვალებადობა ერის თავისებურობისა, ეს მკითხველმა თითონ იფიქროს და იგულისხმიეროს. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რაც გულ-წრფელი არ არის, ყველაფერი წყალსა და მეწყერს წაუღია; რაც ღირსეულად დამსახურებული არ არის, ყოველივე ეშმაკის კერძად გამხდარა. ვის უნდა ავუბა თვალები

ვენახი ხომ მთლად მიამსხვრია და ამით, როგორც იწერება მასწავლებელი ნ. ანდრონიკაშვილი, გული მოგვწყვიტა და ჩემმა შრომამაც ამაოდ ჩაიარაო.

⁂ სკრა (გორის მაზრა): ასეთივე საშინელი სეტყვა და ავდარი ყოფილა 10 ივნისს სოფელს სკრაში და სულ გაუოხრებია ნათესი და ვენახები. სხვა სოფლებს არ მისწვდა ეს სეტყვაო, გვიამბეს იქიდამ ჩამოსულებმა.

⁂ კაკავი: ჩვენსკენ ხომ აბა თითვე ისე არ გავა, რომ ადამიანის სისხლი არ დაიღვაროს ძალ-დატანებითა და ძალ-მომრეობით. მაისმაც ისე არ გაიარა, რომ, ერთი და ორი-კი არა, რამდენიმე ამისთანა შემთხვევა არ მომხდარიყო. აი, მაგალითად, მაისის შუა რიცხვებში მოუვიდათ ჩხუბი სამ ძმა ყადგრონელებს და ერთს ალაგირიდგან გადმოსახლებულს. ჩხუბში სამმა ძმამ დასძალა ერთი კაცი. რომელმაც, რა-კი სული გაუმწარდა, იძრო ხანჯალი და ერთი ძმა იქვე გააგორა. მაგრამ დანარჩენებმა ალაგირელს ყელი გამოსჭრეს და სულ ასო-ასო აჰკუწეს. 20 მაისს კიდევ სოფ. გიზელში ერთი ოსი ნაქურდალის ცხენით შეეფეთა მინდვრის ყარაულებს. ამათ დაჰკივლეს, ოსმა ცხენი მიატოვა და გაიქცა. ყარაულები უკან დაედევნენ. ქურდმა ესროლა ბერდანის თოფი და ერთს ყარაულს ცხენიც მოუკლა და თითონაც მოკლა. დანარჩენმა ყარაულებმა თოფითვე მზე დაუბნელეს ქურდსა.

⁂ სოფ. ქედა (ქვედა-აჭარა): ამ ბოლოსა და ბოლოს დროს ძალიან დიდი სიცხეები დაიჭირა აქეთკენ. ნამდვილი გვალვაა: ბალახი სრულიად ამოიწვა მინდვრად. საქონელი საცოდავად ჰბღავის, რა-კი საძოვარს ვერა ჰშოულობს. ნახევარზედ ყანები დაუთესელი დაგვრჩა. ორი თითვეა თითქმის, ნამი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ხეხილიც დაივგალა და ხილი ძირსა სცვივა. თქვენი მტერი, თუ წვიმები არ გაჩნდა მალე, ჩვენი საქმე ცუდად წავა. მეტადრე ღარიბსა და ხელ-მოკლე ხალხს გაუჭირდება ცხოვრება.

⁂ ყვირილა: 10 ივნისს რკინის გზის მატარებლის № 21 მეორე კლასის ვაგონიდგან თავ. გორბახაძეს ვერცხლის ხმალი მოჰპარეს, 1,500 მანათად ღირებული. ეჭვი რკინის გზის კონდუქტორზედ მიუტანიათ.

⁂ ბელაგორი: 11 ივნისს დილის 5 საათზედ მე-130 ვერსზედ შემდეგი უბედურება მოხდა: დაიმსხვრა საქონლის მატარებლის 9 ვაგონი-ცისტერნი. ამათში ხუთი სულ ერთიანად დაიმსხვრა და ოთხი დაზიანდა. ამ უბედურებამ ორი კაცი იმსხვერპლა. მოკლულნი არიან ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. წივას მცხოვრები ბეგლარ ლოლაძე და იმავე გუბერნიის და მაზრის სოფ. საიეს მცხოვრები თომა ბაბლიძე, დაშავებულნი არიან: ოსმალეთის ქვეშევრდომნი გიორგი დელიარ-ლეფტერ-ოღლი და ხარლამ-ჯალამ-ოღლი.

⁂ ნატანები: 11 ივნისს მატარებელმა № 4 მე-56 ვერსზედ ლიანდაგზედ მომავალი შუა-ხნის კაცი გასრისა. ვინაობა ამ კაცისა ჯერ არ იციან.

⁂ ბაქოდგან შემდეგსა სწერენ გაზეთს „Н. Обоз.“-ს: ხოლერა ჯერ არ გამძვინვარებულა, მაგრამ ყველანი-კი ისე დააშინა და დააფეთიანა, რომ ჩვენმა მკურნალებმაც-კი, ოთხს კაცს გარდა, უარი განაცხადეს ამ დაუპატიჟებელს სტუმართან ბრძოლაზედ. ისე მტკიცედ იდგნენ უარზედ, რომ სამსახურსაც სრულიად ანებებდნენ თავსა. მხოლოდ 8 ივნისს გუბერნატორმა საბუთიანის ლაპარაკით დააჯერა და ხელი აალებინა უარზედ ზოგს მკურნალს. ბაქოს მცხოვრებთაგანი ბევრნი მიდიან ქალაქიდგან.

იმართება საქალაქო და კერძო საწოლები ავადმყოფთათვის, სასანიტარო კომისიები. ქალაქის მოურავმა მოწოდება გაუგზავნა კერძო დაწესებულებათა და კაცთა და სთხოვს იკისრონ სასანიტარო მზრუნველობა. აპირობენ ქალაქიდგან მოშორებულს ერთს ადგილას საავადმყოფოს და სასაფლაოს გამართვას. კარბოლლა და სხვა სადეზინფექციო წამლები მრავალი რიგდება. ქუჩებში ნავთს ასხავენ. ქალაქმა მოწოდებით მიჰმართა ნავთის მექარხნეებს, რომ უსასყიდლოდ დაუთმონ ნავთი ქუჩების მოსარწყავად.

უნდა-კი ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს მაშინ ითავეს, როცა უბედურება უკვე დაგვატყდა თავსა და სენს მსხვერპლი მსხვერპლზედ მიაქვს. მგონი ამიტომაც არ ეტყობა ხმარებულს ღონისძიებას ერთიანობა და წესიერება.

ავიღოთ თუნდა მიხეილის საქალაქო საავადმყოფო და გავსინჯოთ, ან რა გაუკეთებია და ან რის გაკეთებას აპირობს.

ჯერ ერთი, აბა რასა ჰგავს, რომ საზოგადო საავადმყოფოს გვერდზე, შუა ქალაქში, მოედანზეა გამართული ხოლერიან ავადმყოფთათვის ტილოს კარავები. კარავი სულ ხუთია დ 33-მდე კაცს იტევს. ადვილად წარმოიდგენს კაცი, თუ რა ყოფაში იქნებიან იქ მიყვანილი ავადმყოფები.

ცუდად იქცევა აგრეთვე ქალაქი, რომ ამ საავადმყოფოს გადიდება და გადატანა ჰსურთ რკინის გზის სადგურზედ, სადაც სახლობენ რკინის გზის მოსამსახურეები და სხვანიც მრავალნი.

თუ ჰკითხავთ: ეგრე რად იქცევითო? ასე გიპასუხებენ: სულ უარარაობას ისევ ესა სჯობიაო.

გუშინ რკინის გზის სადგურიდგან კარგად მოშორებულს ლიანდაგზე ხუთი ვაგონი ხაავაადმყოფოდ გადააკეთეს სადგურის ხოლერიან ავადმყოფთათვის.

აი ასეთ ყოფაში არიან ჩვენი უზრუნველი ბაქოელები.

მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი ავადმყოფებისულ მუშა ხალხია.

⁂ სომხურ გაზეთ „არძაგანქში“ დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ალ. ერიცოვისა ძველის ქართველ მწერლების შესახებ. ერთ ფელეტონში სხვათა შორის ერიცოვი ვრცლად ლაპარაკობს ერთ ქართველ სახალხო მესიმღერეს გამო, რომელიც 1830 წწ. სცხოვრობდა, სახელდობრ, არიფ-ოღლანის შესახებ. იმისს ლექსებს საქართველოში ისევე მღეროდნენ, როგორც ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძისასაო. სანიმუშოდ ბ-ნს ერიცოვს ეს ლექსები დაუბეჭდია. ერთ ალაგას პატივცემული ავტორი სწერს, რომ ჩვენი საზოგადოება ევროპის ერთა ლიტერატურის შესწავლას-კი მისდევს, ვინ იცის, რას არ ვთარგმნით იმათსას, და ქართველებს-კი, ამ ჩვენის ახლო მეზობლის ერის მწერლებს, თვალ-ყურსაც არ ვადევნებთო.

⁂ იმავე გაზეთში დაბეჭდილია: ამ დღეებში ტფილისში ოთხს კაცს მზემ თავში ჩაჰკრა და ორი გარდაიცვალა. 10 ივნისს კიდევ რკინის გზის სახელოსნოში უცბად გარდაიცვალა ჩილინგდარი არაბაძე. არაბაძეს გვამი იმ წამსვე საშინლად გაშავდა. მაშინვე ხმა გავარდა, რომ არაბაძე ხოლერით გარდაიცვალაო. მეორე დღეს დილით არაბაძეს გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ თავში მზის დაკვრით გარდაიცვალა და არა ხოლერითაო.

## როგორ უნდა აიცილოს კაცმა ხოლერა?

(გაზეთ „Н. Обоз.“-დგან გადმობეჭდილია)

გამოცდილების მიხედვით, მრავალი წიგნაკი-დარიგება დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიცილოს კაცმა ხოლერაო. უარს არა ვყოფთ იმ წიგნაკთა სარგებლობას, მაგრამ მაინც გვსურს მივაქციოთ ყურადღება იმ სხვა-და-სხვა ღონისძიებას, რომელიც თვით ხოლერის ბაცილების მეცნიერულად გამოკვლევა-შესწავლაზეა დამყარებული. უკანასკნელს დროს, კოხის შრომათა წყალობით, ხსენებულ ბაცილების შესწავლა ისე კარგად და წარმატებით წავიდა, რომ დროა მისის მიხედვით განკარგებულის წესით ბრძოლა ხოლერასთან. ხოლერის ბაცილის უმთავრესი საყურადღებო თვისება ის არის, რომ ხოლერის ბაცილა მალე იხოცება დიდის სიცხით. საკმარისია 80° ცელსიის ტერმომეტრით, რომ ეს გადამდები სენი სრულიად მოისპოს.

მეორე მხრით აწინდელმა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ხოლერით ავადმყოფთა განავალში მყოფი გადამდები სენი სმა-ჭამის დროს ბოლოს ჩვენს სტომაქშიაც გადმოდის. მაგალითად, შეიძლება ეს სენი სახლში მიტანილ იქმნას ჩექმების ძირით, თუ გასვრილი იქნება დასენიანებულის ტალახით, შემდეგ იატაკების წმენდის დროს გადავიდეს სველს ტილოზედ, იქიდგან კიდევ კაცის ხელზედ და შემდეგ ხომ სმა-ჭამის დროს სტომაქშიაც ადვილად ჩავა. ხოლერის ბაცილა შეიძლება გადავიდეს კაცზედ, თუ ხელი მოჰკიდა კარების რაზას, რომელსაც წინად ხოლერიანი შეჰხებია.

ამ სამეცნიერო ჭეშმარიტების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლიან ამ თავითვე ავირჩიოთ ისეთი გზა მოქმედებისა, რომ იმის შემწეობით უზრუნველ ვყოთ ჩვენი თავი ხოლერით ავად გახდომისაგან. თუ წინადვე გამორკვეულს გეგმას ჩვენის მოქმედებისას სრულიად ვერ განვახორციელებთ, რაც შეიძლება, უნდა ვეცადოთ დაახლოვებით იმის აღსრულებას, როგორც იდეალისას.

ეს გეგმა მოქმედებისა ის არის, რომ კაცმა მარტო ის უნდა სვას და სჭამოს, რაც ჭამის ან დალევის ცოტა ხნის წინად ადუღებულია, მოხარშულია და შემწვარი.

ამ საზოგადო კანონის მიხედვით შეგვიძლიან ესა თუ ის სასმელ-საჭმელი ავირჩიოთ სახმარებლად. მაგალითად, არ უნდა ვსვათ აუდუღებელი წყალი, არ უნდა ვჭამოთ უმი ხილი და სხვა-და-სხვა მწვანილი, არ უნდა დავლიოთ აუდუღებელი რძე და სხვ. ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ ხოლერის ბაცილები უფრო ამ გვარს სასმელ-საჭმელში მრავლდება, თუ-კი ერთხელ როგორმე მოხვდა.

მაგრამ მარტო ეს არა კმარა ხოლერისაგან უზრუნველ საყოფელად, რადგან შეიძლება სასმელ-საჭმელს მას შემდეგაც მოედოს ბაცილები, როცა ადუღებითა და შეწვა-მოხარშვით არ საშიშოდ ვხდით.

სენი შეიძლება გადაედოს: ა) ან უსუფთაო ხელით საჭმლის აღების დროს, ბ) ბაცილისაგან უზრუნველ ყოფილის ჭურჭლით დი დანა-ჩანგლით, გ) შეიძლება მწერებმაც (მაგალითად ბუზმა) გადასდონ თავისის ფრთებითა და ფეხებითა და დ) სადილზედ სახმარებელის ხელსაწმენდებითა და ხელსახოცებით.

დავიწყოთ ხელიდგან. საჭმლის მომმზადებელსაც, მიმტანსაცა და მჭამელსაც სრულიად სუფთა ხელები უნდა ჰქონდეს. უკეთესია ხელის დაბანა საპნითა და ჩოთქით (ფრჩხილები, რაც შეიძლება, მოკლედ უნდა ჰქონდეს კაცს დაჭრილი), შემდეგ ხელები კიდევ უნდა გადიბანოს ან სუნნელოვანისა და ან ჩვეულებრივის ძმრით. ხელი ამას შემდეგ პირ-

---

და როგორ უნდა დავამშვიდოთ სინიდისი იმითი, რომ ათმა და ოცმა სადილი გამიკეთოს, ხოლო ასი და ათასი ძვირ-მხსენებელი და უმადური მყავდეს.

ვიცი, ბევრი ხელობისა და თანამდებობის კაცი მხოლოდ იმითი ამაყობს, მხოლოდ იმითი მოაქვს თავი, რომ ამა-და-ამ ადგილზედ ვმსახურებდი და სადილით გამომისტუმრესო. ან-კი რატომ არ უნდა ამაყობდეს, როდესაც სადილის გამმართველნი დიდის ზარითა და ზეიმით მოუყვებიან, რასაკვირველია, „რეჩით“, რომ ჩვენი ქვეყანა, ვიდრე თქვენს ბედნიერს ფეხს შემოსდგამდით შიგ, უბედური იყო, ჩვენი ერი, ვიდრე თქვენი მოწყალებისა და მფარველობის კალთა გადმოეფარებოდა, სულ თავ-ბედს იწყევლიდა; თქვენის ბრძნებისა და სუფევის დროს ჩვენში-კი წაღმა დაგვიტრიალდა ბედის ჩარხი: უნაყოფო ქვეყანა გაპოხიერდა, დაჩაგრულნი მკვიდრნი წელში გაიმართნენ და კეთილდღეობას მიეცნენ; სიბნელე უკუქცეულ იქმნა, ხოლო იმის ალაგი სინათლემ დაიმკვიდრა; „ღამე განგვეშორა და დღე შემოგვეახლა“; უსამართლობა ძირიან-ფესვიანად ამოვარდა, ძლევა-მოსილი და გამარჯვებული სამართალი დარჩა. ყოველისავე ამის მიზეზი თქვენი ბრძნული და კაცთ-მოყვარული განკარგულება, თქვენი უანგარო და შეუდარებელი სამსახური იყო. ამიტომაც არის, რომ გული გვწყდება თქვენის მოშორების გამო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ თქვენი სიყვარული და პატივისცემა ამ ნატკენის გულით სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე ვატაროთ და შემდეგ შვილთა და შვილიშვილთა, შორეულთა ჩვენთა ნატამალთა გადავსცეთ თქვენის ქველობისა და დიდების ამბავი... აქ თანამეინახენი ასტეხენ ტაშის ცემას, „ურას“ ყვირილსა და „მრავალ-ჟამიერის“ მღერას. „მერეჩე“ და „რეჩის“ მიზეზი გადაეხვევიან ერთმანეთს და ამბორს უყოფენ ნიშნად ერთგულობისა და ერთსულობისა.

მეორე დღეს იგივე „მერეჩე“ ალიჭურვება კალმით, უიმისოდაც გაჭიანურებულსა და გაზვიადებულს გუშინდელ ამბავს უფრო აჭიანურებს და აზვიადებს და ერთს ვეებერთელა ეპისტოლეს შეხანხლავს საგაზეთოდ.

გადის კიდევ რამდენიმე დღე და ეს ამბავი, თუ სრულიად არა, შემოკლებით მაინც არის დაბეჭდილი გაზეთში.

როცა რომელსამე დაბასა ანუ ქალაქში ამა თუ იმ მოხელის გასტუმრების გამო ასეთი დიდი ამბავი ხდება, იმავე დროს სოფლად გულ-უბრყვილო ხალხში სულ წინააღმდეგი ძითქა-მოთქმაა.

— შეიტყვე, რომ გადაუყვანიათ? ეკითხება ერთი მეორეს.

— მითხრეს, რომ გადააშავესო.

— წასვლა იანი, მოსვლა გვიანი, წინ წყალი, უკან მეწყერი... უმატებს მესამე.

— ვიდრე არ დაგვაქცია და არ დაგვანელა, არავინ გაგვიკითხა და აწი უნდა გადიყვანონ და უნდა...

— რა მიუკარებელი და შეუბრალებელი კაცი იყო! ერთხელ ერთი თხოვნა მივართვი და თავზედ გადამახია ჩემი არზა და სულ „რაზბონიკი“ მიძახა, ჩაერევა მეოთხე ლაპარაკში.

— თქვენ ხომ ასე ამბობთ, ცუდი კაცი იყოო, და ის არ გაგიგიათ, რომ გამოთხოვებისას სადილი გაუმართესო.

— სადილი? სადილს რა ჰკუა აქვს! სადილს მისი ხელ-ქვეითები და ხელ-ქვეითის მეგობრები გაუმართავენ. მაგრამ რა ის და რა სხვა! ქათმის ანდაზისა არ იყოს, ჩვენ ყოველთვის ჩვენი დაგვემართება. გახარება არ გვიწერია და არა.

ასე და ამ ნაირად სოფლად ბევრს რამეს გაიგონებთ სადილით გასტუმრებულს მოხელეზედ და იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ, სადილი-კი არა, შავი ქვა და ცხელი ნაცარი ასეთს კაცსაო, იტყვით.

ამიტომაა, ბატონო, რომ ყოველთვის, როცა გაზეთში ესე ვითართა სადილთა ამბავს ამოვიკითხავ, არა მჯერა და არა მჯერა იმიტომ, რომ კარგად ვიცი.

ღვარძლის მთესველა ვერ მომკის
იფქლსა ბასრისა ცელითა.

**

სადილისა და „რეჩის“ ამბავი ერთმანეთს დაუკავშირეთ და, როგორც მოვახერხეთ, ხომ მოგახსენეთ. ახლა დაგვრჩა, ტრფობასა და ლექსობაზედ ვილაპარაკოთ. მაისი ისეთ ნაირად არის მოწყობილი, რომ რაც უნდა განდეგილი და დაყუდებული იყოს კაცი, მაინც გაუღიტინებს გულში ტრფობის სურვილი, უჩუხჩუხებს სისხლს, აუთამაშებს გრძნობა-გონებას და ძალა-უნებურად ჩააბამს იმ უცნაურს ფერხულში, რომელსაც სიყვარული ეწოდება და რომლის ბრძოლის ველიდგან გაქცევა გამარჯვებააო.

ჩვენნი მამა-პაპანი-კი სხვა ნაირად სჯიდნენ სიყვარულის შესახებ. ისინი ამბობდნენ და, ალბად, ასრულებდნენ კიდეც, რომ

სახოცით აღარ უნდა შეიწმინდოს, რომ კვლავ ჭუჭყი არა მიეცხოს-რა. განსაკუთრებით ხელების დაბანა საჭიროა ფეხის-ადგილიდგან გამოსვლის შემდეგ და ყოველთვის საჭმლის ჭამის წინად. სარეცხის გარეცხას სამზარეულოში უნდა მოერიდნენ ხოლერის დროს და განსაკუთრებით სარეცხი არ უნდა გარეცხოს საჭმლის მომმზადებელმა (მრეცხავმა ქალებმა საჭმლის წინად კარგად უნდა გაიღვრიჭონ ხელები ადუღებულის წყლითა), თორემ საცვალსა და ნაალის ჩარსაოზედ შეიძლება ადვილად გავრცელდეს ხოლერის ბაცილები, მეტადრე თუ სველია, და იქიდგან საჭმელში ჩავარდეს, თუ სარეცხის რეცხვა და საჭმლის მომზადება ერთს ოთახში მოხდა. თუ კაცი დარწმუნებული არ არის, რომ არავის მოუკიდნია ჭუჭყიანი ხელი საჭმლისა და ან ჭურჭლისათვის, ჭამის წინად იგი ძლიერ უნდა გააცხელოს. მაგალითად, შეიძლება ნაყიდს პურს ჭუჭყიანი ხელი მოავლოს მეფურნემ და ან კიდევ სხვა გზით როგორმე მიეცხოს ჭუჭყი. ამიტომ საჭიროა პური გახუხოს როგორმე, რომ დაიხოცოს პურის ზედა-პირზე ბაცილები. თეფშები, ლამბაქები, ჭიქები და სხვა ჭურჭელი უთუოდ ცხელის წყლით უნდა გაირეცხოს და ან, რაიცა უფრო უკეთესია, გახურდეს. ესევე უნდა მოექცნენ დანებსა, ჩანგლებსა და კოვზებს.

სასმელ-საჭმელს რომ მწერი არ დააჯდეს, ან შუშითა და ან ბადიანის სახურავით უნდა იყოს დახურული. ხელსაწმენდებიც ყოველთვის სულ ახალ-ახალი უნდა იხმარებოდეს. რაც უფრო მშრალი იქნება, ის უკეთესია: გაშრობის დროს ხოლერის ბაცილები იხოცებიან.

საჭმელის ჭამის შემდეგ კარგია ჩაის დალევა. საზოგადოდ ხოლერის დროს კაცმა უმთავრესად ჩაით უნდა მოიკლას წყურვილი.

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოხსენებული ღონისძიებანი იდეალურია და ღარიბის ხალხისათვის შეუძლებელია იმისი აღსრულება. მხოლოდ კარგად შეძლებულს კაცს შეუძლიან ყოველივე იგი რიგიანად გამოიყენოს. მაგრამ ცოდნა იმისი-კი ყველასათვის საჭიროა. იმის მიხედვით კაცს შეეძლება კერძო შემთხვევაში ასე თუ ისე მოიქცეს.

რაც უფრო მეტად ავასრულებთ ზემოხსენებულს დარიგებას, მით უმეტეს უზრუნველ-ყოფილნი ვიქნებით ხოლერისაგან. სწორედ ამის წყალობით გადარჩნენ კოხი და იმისი მოწაფენი, რომელნიც ინდოეთში ყოველ დღე რამდენსამე ხოლერით მომკვდარის კაცის გვამსა სჭრიდნენ და იკვლევდნენ ბაცილებს.

ამისისავე შემწეობით იცილებენ თავიდგან ხოლერის ათასობით მკვლევარნი, რომელნიც თავიანთს ლაბორატორიებში მუშაობენ და ცხვირწინ მილიონობით აქვთ კოლოფებში ხოლერისა და სხვა სენის ბაცილები.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** გრეგრმა გამოიყენა ვენგრიელთა უკანასკნელი დღესასწაულები (იუბილეი გვირგვინის კურთხევისა) და ამ შემთხვევისა გამო წარმოსთქვა მწვავი სიტყვა იმის თაობაზედ, თუ როგორ ეკიდება ავსტრიის მთავრობა ჩეხებს. ამ დღეებში გრეგრი გაემგზავრა გერმანელთა-ბროდში, სადაც მლადოჩეხებს კრება ჰქონდათ გამართული ადგილობრივს თეატრში. მლადოჩეხები დიდის აღტაცებით მიეგებნენ გრეგრსა და ოვაციები გაუმართეს. გრეგრმა სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, მადიარებმა იმიტომ გაიმარჯვეს, რომ უარზე უდგებოდნენ ხოლმე მთავრობასა და ხარჯსა და ჯარის-კაცებს არ აძლევდნენო. მე პირდაპირ არ გირჩევთ, რომ თქვენც ამ პოლიტიკას დაადგეთ, მაგრამ აღვნიშნავ-კი, რომ ასეთმა ქცევამ მადიარებს დიდი სარგებლობა მოუტანაო. მთავრობის კომისარი წამოდგა და სიტყვა გააწყვეტინა გრეგრსა. გრეგრმა კომისარს უპასუხა, მე აქ მხოლოდ ისტორიული გარემოება აღვნიშნეო, და კვლავ განაგრძო თავისი სიტყვა. მოიხსენია რა უკანასკნელ არჩევნების დროს მომხდარი ცვლილება მიმართულებისა, ორატორმა სთქვა, რომ ამიერიდგან უთუოდ ოპპოზიცია უნდა გავუწიოთ მთავრობასაო. კომისარმა კვლავ სიტყვა გააწყვეტინა ორატორსა. გრეგრმა მაინც განაგრძო: „ჩვენ ნება გვაქვს ოპპოზიცია გავუწიოთ მთავრობას და უნდა გავუწიოთ კიდეც! (ტაშის ცემაა) ჩვენ ყოველთვის ოპპოზიციაში დავრჩებით!“ კომისარი კიდევ წამოდგა, დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ისეთი ხმაურობა ასტყდა თეატრში, რომ ველარავის ველარა გააგონა-რა. ბოლოს კომისარმა გამოაცხადა, კრება დამითხოვნიაო. გრეგრმა ხმა მაღლა დაიძახა: „ჩვენ ნება გვაქვს ლაპარაკისა“. კრებამ ყვირილი მორთო: „ბარემ დაგვხვრიტეთ რაღა! თუ კანონიერს ოპპოზიციას აღგვიკრძალავთ, უკანონო ოპპოზიციას გაგიწევთო“ ხალხმა დასძახა თავის პატრიოტული სიმღერა Hej Slowane და წავიდა კრებიდგან.

**ისპანია.** ბარსელონაში შიშიანობის წესი შემოიღეს. მუშების პირის შეკვრა ძლიერ გავრცელდა. ჯარი ჩაერია საქმეში, რამდენჯერმე ბრძოლა მოხდა მუშებთან და ბევრი სისხლი დაიღვარა. გუბერნატორის განკარგულებით ყველა დუქანი, ქარხანა და სახელოსნო დაჰკეტეს. უსაქმო მუშათა რიცხვი 87,000-მდეა. ქალაქში მრავალი ჯარი ჩააყენეს. ყველა მოედანი, ნავთსადგური და სახელმწიფო შენობანი დაჭერილია. ქუჩებში რაზმი დაიარება. ჯარსა და მუშებს შორის მომხდარ ბრძოლის დროს მრავალი კაცი დაიჭრა, მაგრამ არ იციან-კი სულ რამდენია დაჭრილი. ბარსელონაში მივიდნენ დელეგატები პროვინციელ მუშათა და გამოაცხადეს საყოველთაო მუშათა პირის შეკვრა და მუშაობაზედ ხელის აღება. შიშიანობის წესი გამოცხადებულ იქმნა აგრეთვე კალაგასრაშიაც.

**შვეცია-ნორვეგია.** ამ დღეებში ორის დღის კამათს შემდეგ ნორვეგიის პარლამენტმა შეიწყნარა პროექტი იმის შესახებ, რომ ნორვეგიისათვის ცალკე კონსულტატები დაარსდეს აწინდელის შვეცია-ნორვეგიის საერთო კონსულტატების მაგიერ. შეწყნარებულის პროექტის ძალით, ნორვეგიის მთავრობას 50,000 კრონი ეძლევა, რომ სამზადისს შეუდგეს და მოლაპარაკება დაუწყოს შვეციას საერთო კონსულტატების განცალკევების თაობაზედ. ხსენებულ საქმის შესახები კამათი, რომელსაც ჰხელმძღვანელობდნენ ძველი კონსერვატორი მინისტრი სტანგი და ეხლანდელი მინისტრი რადიკალი სტენი, ძლიერ მწვავი იყო. სტენმა თავისს სიტყვაში თუმცა ისიც მოიხსენია, რომ საზოგადო კონსულტატების განცალკევება საერთო სამხედრო სამინისტროს განცალკევებას არა ჰნიშნავსო, მაგრამ სიტყვა მაინც ორ-აზროვანი გამოუვიდა და გული ვერ დაუმშვიდა ხალხს. მინისტრმა ის დედა-აზრი გამოსთქვა, რომ განსაკუთრებული ნორვეგიის დაწესებულებანი უნდა გავრცელდეს, რათა სახელმწიფოს ერთობა არ ამოეფხვრას ხალხს გულიდგან; იგივე დაიფარავს ნორვეგიის ერს ძლიერ სახელმწიფოს მიერ შთანთქვისაგანაო.

## წვრილი ამბავი

გაზეთებში ძალიან ხშირად შეხვდებით ბარონ გირშის სახელს. ბარონი გირში სწორედ ის ლონდონელი შეძლებული ბანკის პატრონია, ებრაელი, რომელიც არგენტინის რესპუბლიკასა და პალესტინაში ახალშენებსა ჰმართავს და უნდა ამ ახალშენებში თავისნი თანამემამულენი დაასახლოს, რომელნიც ამ ჟამად რუსეთის მიწა-წყალზედ არიან დასახლებულნი. „Pall-Mall Gazette“-ს ერთი თანამშრომელთაგანი თავისს მკითხველებს ზოგიერთს ცნობას მოუთხრობს ამ შესანიშნავ ქველ-მოქმედის შესახებ. ბარონი გირში შვილია და შვილიშვილია შეძლებულ ბანკის პატრონებისა, ცოლად მეტად მდიდარი ქალი ჰყავს და ეს ორ გვარი სიმდიდრე უფრო განაძლიერა საფინანსო ოპერაციებით. მაგალითებრ, მან იყიდა ბელგიის ბანკი, რომლის საქმეც მეტად ცუდად მიდიოდა და რომელიც ისე განაკარგა, რომ ორს მილიონს შემოსავალს იძლეოდა, გაიყვანა ბოლგარიასტამბოლის რკინის გზა და სხ. ბარონს გირშს ერთად-ერთი საყვარელი შვილი მოუკვდა, ნათესავებიც არავინა ჰყავს და ამიტომ თავისს უშველებელს ქონებას ქველმოქმედებაზედ-და ჰხარჯავს. რუსოსმალთა ომის დროს მან დაჭრილ რუსთათვის საავადმყოფო გამართა, ამას გარდა, რუსეთის მთავრობას სამადლო საქმეთათვის შესწირა 400,000 მანათი და ინგლისის მოგზაურს არნოლდ უამეტს მიანდო, რომ საახალშენებოდ ად ?? ლი მიჰოვნე რუსეთის ებრაელთა დასასახლებლადაო. რამდენად მადლიანი კაცია გირში, ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც სჩანს, რომ 1891 წელს მან სამადლო საქმეებს ანაცვალა 30 მილიონი მანათი. ცხენებიც-კი სამადლო საქმეთათვის ჰყავს. გადაწყვეტილი აქვს, რომ რასაც ჩემი ცხენები დოღში მოიგებენ, ის ლონდონის სამკურნალოებისა და საავადმყოფოების სასარგებლოდ უნდა იყოს გადადებულიო. შარშან მისმა ცხენებმა ამ საქმით 70,000 მან. მოიგეს.

— ღვინის მოყვარულთა სასიამოვნოდ მოგვყავს მათ შესახებ აზრი ექიმის სენდტნერისა. ამ ექიმს გადაუთვალიერებია ნუსხა ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში გარდაცვალებულთა და დარწმუნებულა, რომ ღვინის მკეთებელნი და მეიდველნი ერთა შუა რიცხვზედ ნაკლებს სცოცხლობენ, გულის ავადმყოფობა უფრო ხშირია მათ შორის, ვიდრე მიუნჰენის სხვა ხელობის კაცთა შორისო. ღვინის მომეტებულ სმისაგან გული ისე უსქდებათ, რომ გადამდებ სნეულებათ მათი სხეული ისე ძლიერ ველარ ებრძვის, ადვილად ველარ იტანსო.

— მიუხედავ იმ აზრის წინააღმდეგ, რომ „სიყვარულს არავითარიმე სახელმძღვანელო არა აქვსო“, პარიჟელს ჟურნალისტს ბესს არს დაუბეჭდია უცნაური წიგნი „ხელოვნება სიყვარულისა“ („L'art d'amour“), რომელშიაც სცდილობს წესსა და რიგში მოიყვანოს შეყვარებულთა ყოველ გვარი დამოკიდებულება.

— საფრანგეთის ქალაქ ვალანსიენნეში დაიწყო გამოსვლა განსაკუთრებულმა ჟურნალმა, რომელიც მხოლოდ კართოფილისა, იმის მოვლისა, იმის მრეწველობისა და სხ. შესახებ სწერს წერილებსა. ამ ჟურნალის რედაქტორი სუროთ-მოძღვარი გრასია.

## დეპეშა

11 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა კანონები იმის შესახებ, რომ ნავთ-სადგურებსა და გემებს მიეცეს სასანიტარო ზედამხედველობისათვის საჭირო მასალა-იარაღი 1890 წელს უმაღლესად დამტკიცებულის ხოლერის დროს კანონისამებრ.

გაზეთები იუწყებიან, რომ საპა-

---

სიყვარულსა მალვა უნდა
ვითა ცხენსა ნაპარევსა,
თუ გამჟღავნდა, გლოვა უნდა,
ვითა ძმასა საყვარელსა-ო.

ახლა? ახლა სადღაა ის ანკარა სიყვარული, რომელსაც მალვა უნდოდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა? ახლა სიყვარულს სხვა რიგმა ქარმა დაჰქროლა, სხვა ნაირად შეატრ-შემოატრიალა, სხვა სახე დასდო და სხვა სახელი უწოდა. ძველად სიყვარულის ბინა ადამიანის სული და გული იყო, ხოლო ახლა ბაღები და ბულვარებია. ძველად სიყვარულით განმსჭვალული ქალ-ვაჟნი მოტრფიალენი იყვნენ, გამიჯნურებულად იხსენიებდნენ, ახლა-კი „დამა-კავალერს“ ეძახიან და სულ ეს არის „ანი“ და „ჰოე“ ეხლანდელის მიჯნურობისა. ძველად შეყვარებულთა მცნება ეს იყო:

არს პირველი მიჯნურობა,
არ დარჩენა, ჭირთა მალვა,
თავის წინა იგონებდეს,
ნაადაგმცა ჰქონდეს ხალვა
შორით ბნედა, შორით კდომა,
შორით დაგვა, შორით ალვა...

ახლა? ახლა ქვეყანამ უნდა იცოდეს, ვინ ვისი „დამაა“, ვინ ვისი „კავალერია“ და ამის გამოც არის, რომ ადრინდელი მცნება მიჯნურობისა სრულიად გაადუხჭირეს:

არს პირველი მიჯნურობა
გამოჩენა, ჭირთ არ მალვა,
მუდამ ერთად „გულაობა“,
არც რიდი და არცა კრძალვა,
ახლოს ყოფნა, ახლოს ჯდომა,
ახლოს ხრუკვა, ახლოს ალვა...
ღალატი და მოტყუება,
თვალთ-მაქცობა და გაპარვა.

უწინ მიჯნურს ვალდებულად ხდიდნენ „გული ერთსა დააჯეროს, ქუშტი მახვდეს, თუნდა ქუშიო“, ახლა-კი გაიძახიან:

ასსაც არ უნდა დასჯერდეს,
ათასს უძგერებდეს გულშიო.

რომ ეს ასეა, რომ აქ გაზვიადებული არაფერი არის, ამას დასამტკიცებლად ნება მიბოძეთ ერთი ამბავი მოგახსენოთ. ამას წინად ერთმა ჩემმა ნაცნობმა მკერვალმა მთელი გროვა ხელ-ნაწერისა მომიტანა და მითხრა:

— შენ, როგორც ვიცი, გაზეთში ჩასაგდებ ამბებს ეძებ და აი, ესენი ჩააგდე, თუ ვარგხარ.

გავსინჯე, გადავათვალიერე ხელნაწერები და სულ საარშიყო ლექსები გამოდგა ვაჟისაგან ქალთადმი გასაგზავნად დამზადებული. ამან, რა თქმა უნდა, გამოცა და გოცებითაც შევკითხე:

— სად გიშოვნია ესენი-მეთქი;

— სერთუკი მომიტანეს საპანჩინკოდ და იმის ჯიბეში ვიპოვე.

— მერე ამის წაკითხვა და გამოქვეყნება ვის გაუგონია, უსინიდისობაა.

— შენ რა გენაღვლება, მე ვიკისრებ მაგ უსინიდისობას, მაგრამ უსინიდისობა ეს-კი არ არის, უსინიდისობა იგია, რომ რაც ქვეყანაში ქალია, ის კაცი ყველას ეარშიყება.

მკერვალის აზრი, ცოტა არ იყოს, სამართლიანად მეჩვენა და გადავწყვიტე,

რადგან ფარვა საავისა
ქვეყანას არ მოუხდების,

მოდი, ამ ლექსების ამბავს გამოვააშკარავებ-მეთქი, და აი, ვასრულებ კიდეც.

ლექსები სულ ერთის კაცის ხელით იყო დაწერილი და ხელ-მოწერილი და სულ სხვა-და-სხვა ქალთადმი მიმართული.

ერთში ეწერა:
მაისია... ბაღში ვარდი
გაიფურჩქნა, გაიშალა,
ჩემ გულში-კი სევდა-დარდი
უხამ-ნაღველად გაიშალა.
მიზეზი შენ ხარ, გენაცვა,
შენვე უნდა მიმკურნალო,
თუ არა, თავსა მოვიკლავ
მე სატირალ-საკვალავო.

მეორეში წავიკითხე:
შენ მზესა და შენ გეფიცავარ,
აღარა მაქვს მოსვენება.
შემიბრალე! მარტო ნახვის
მხოლოდ ერთხელ დამრთე ნება.

მესამე ამბობდა:
რაზედა მკლავ, რას მიწყრები,
მოიბრუნე ჩემკენ გული,
რად არ ჯერხარ რომ შენგან ვარ
დამწვარი და დადაგული.

მეოთხე ღაღადებდა:
რად არ იცი, რომ შენი ვარ,
შენ გეკუთნი, არა სხვასა,
მაშ რას მიედ-მოედები,
რად მწერ წყრომას და რისხვასა.

მეხუთე ასე იწყებოდა და თავდებოდა კიდეც:
ვენესა ხარ ჩემის გულისა,
უკურნებელი წყლულიო,
რადა გსურს მტანჯო ნიადაგ
დღე-ბნელი და ბედ-კრულიო...

ხუთიოდე ლექსი კიდევ იყო ამას გარდა, მაგრამ ესენიც ხომ ცხადად ამტკიცებს, რანიცა ვართ და რა დროშიაც ვცხოვრობთ. ვგონებ, მარტო მაისიც არ არის დანაშაული, რომ ისე დაქუცმაცდა, გათახსირდა და დაქვეითდა აღმაფრენით გრძნობა სიყვარულისა.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ტიო პრეზიდენტებად ებრაელთა რუსეთიდგან არგენტინაში გადასახლების საქმისა უმთავრესის კომიტეტისა არჩეულ იქმნენ: ბარონი გინცბურგი, ა. ს. პოლიაკოვი და ბროდსკი, ხაზინადრად დირექტორი გამანაღდებელ ბანკისა ზაკი. ვარშავსა, კიევსა და ჰამბურგში განყოფილებანი იქნება კომიტეტისა.

„С-Петерб. Вѣд.-ს გაუგონია, ებრაელთა საქმისათვის დაარსებულის კომისიის პროექტი სახელმწიფო საბჭომ დააბრუნა შინაგან საქმეთა სამინისტროში პროექტის ზოგიერთ ადგილის კარგად შესამუშავებლადაო.

12 ივნისი.

**მოსკოვი.** გუშინ, მრავალ საპატიო კაცთა და წევრთა თანადასწრებით, დაიწყო პირველი კრება რუსეთის არყის მექარხნეთა და ვაჭართა. პარაკლისის შემდეგ წაკითხულ იქმნა ფინანსთა მინისტრის დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ კრებამ წარმატებით იშრომოსო. კრების თავმჯდომარემ, გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნმა, ერმოლოვმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ საჭიროა შევათანხმოთ როგორმე ერთმანეთში სპირტის მწარმოებელთა, ვაჭართა და მხმარებელთა ინტერესი და რომ არყის გამოხდის საქმეს დიდი კავშირი აქვს მთავრობას ყველა დაწყობილებასთანაო. კრებამ უნდა განიხილოს ყოველივე საჭიროება სპირტის გამოხდის საქმისა, რომელიც დაზიანდა მოუსავლობისა გამო, და აგრეთვე საქმენი სპირტის გატანის პრემიისა და ისპანიის ბაზრის გაუქმების შესახებ.

**პარიჟი.** ნაფიცთა სასამართლომ მონბრიზონში რავაშოლს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენი ბრალდებულნი: ბეალადა ქალი სუბერი გაამართლა.

**ბერლინი.** 10 ივნისს (ახალის სტილით) მოშის ახლო შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა: რაზმის უფროსი ბიულოვი, პორუჩიკი ვოლფრამი და 20 სუდანელი. უნტერაფიცრები ვუტცერი და ვიტმტუკი კილიმანჯაროს სადგურს იმაგრებენ. დარეს-სალამადგან მისაშველებლად გაგზავნილი ჯარი დღეს ტანგას ძივიდა და იმ წამსვე გაგზავნილ იქმნა ამ მიწა-წყლის შუაგულ ადგილებში.

**ჩიკაგო.** სადემოკრატიო კონვენტზედ პირველსავე კენჭის ყრით პრეზიდენტის დემოკრატთა კანდიდატად ამორჩეულ იქმნა კლიველინდი.

**ყანდარი.** ავღანელებმა ხაზარასელებთან უკანასკნელ შეტაკების დროს 12,250 კაცამდე დაეხოცათ; ავღანის ჯარი შეშინდა და ამიტომ ჯარის-კაცთა გაპარვის ამბავი ძალიან ხშირია.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 193½ | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 102½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 99½ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | 102½ | — ,, |
| 5% . . . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98½ |

**გამოსადეგი ცნობანი**

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ყრიმსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი


რუსეთის ცეცხლისაგან დამაზღვეველი საზოგადოება

კანტორა მთავარის სააგენტოსი კავკასიის მხრისათვის იმყოფება ტფილისში, განოვის ქუჩაზე, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდით, ყაზაროვის სახლში

ინსპექტორი საზოგადოებისა ტარანოვი

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე- (7—74—7)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—57)

იძლევა ქირით

**ს ა რ დ ა ფ ი**

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.





ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—20)


Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.